



USAID
ამერიკელი ხალხისგან



საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

თავისუფალი, სამართლიანი და
თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური
ციკლი 2019-2022 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №18
მარტი, 2021

თბილისი, 2021

ხელმძღვანელი:

ვახუშტი მენაბდე

ავტორი:

ნანუკა ყრუაშვილი

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.



USAID
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2019 წლის აგვისტოდან მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო პროექტის - „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში“ იმპლემენტაცია. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად ორგანიზაცია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. ამჟამად წარმოგიდგენთ №18 ბიულეტენს, რომელშიც აღწერილია მარტში განვითარებული ის მოვლენები, რომლებმაც გავლენა მოახდინეს პოლიტიკურ გარემოზე.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის დასკვნა 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე

ეუთო/ოდირმა 5 მარტს საქართველოს საპარლამენტო არჩევნების დროს მის მიერ განხორციელებული მცირემასშტაბიანი სადამკვირვებლო მისიის შედეგებზე დაყრდნობით საბოლოო ანგარიში გამოაქვეყნა.¹

საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით ანგარიშში ნათქვამია, რომ საარჩევნო გარემო, უმეტესწილად, იყო კონკურენტული, ასევე, ზოგადად, დაცული იყო ადამიანის უფლებები და თავისუფლებები.² აღნიშნულია, რომ საარჩევნო კანონმდებლობაში 2020 წელს განხორციელებულმა ცვლილებებმა არ გაითვალისწინა ვენეციის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაციების ნაწილი, მათ შორის, საარჩევნო კამპანიის განხორციელებასთან, საარჩევნო ადმინისტრაციასთან, კამპანიის დაფინანსებასთან, მედიასთან, ასევე, საჩივრებისა და სარჩელების პროცესის, ხმების გადათვლისა და არჩევნების შედეგების ბათილად ცნობის ნორმატიულ ხარვეზებთან დაკავშირებით.³ ეუთო/ოდირის აზრით, მსგავსი ცვლილებების არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე განხორციელება არ შეესაბამებოდა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.⁴ გარდა ამისა, საერთაშორისო ვალდებულებების საწინააღმდეგოდ, საარჩევნო კამპანიის დროს მმართველ პარტიასა და სახელმწიფოს შორის ზღვარი ხშირად ბუნდოვანი იყო.⁵

დოკუმენტის მიხედვით, საარჩევნო ადმინისტრაციაში მმართველი პარტიის დომინანტურმა წარმომადგენლობამ, განსაკუთრებით დაბალ დონეებზე, უარყოფითი გავლენა იქონია საზოგადოების აღქმაზე საარჩევნო კომისიების მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით.⁶

მისიამ არჩევნების დღის შესახებ აღნიშნა, რომ საარჩევნო უბნებთან იდგნენ პარტიების კოორდინატორები და აქტივისტები, რაც ამომრჩეველთა დაშინებას იწვევდა.⁷ გარდა ამისა, მათი ნების კონტროლზე გავლენას ახდენდა უცნობი პირების მიერ ხმის მიცემის პროცესის ფოტო-ვიდეო გადაღება ამომრჩეველთა თანხმობის გარეშე.⁸

¹ Georgia Parliamentary Elections 31 October 2020: ODIHR Limited Election Observation Mission Final Report (Warsaw: OSCE/ODHIR, 2021), ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/32QHQRh>, განახლებულია: 26.04.2021.

² იქვე, გვ. 15.

³ იქვე, გვ. 3.

⁴ იქვე, გვ. 8.

⁵ იქვე, გვ. 3.

⁶ იქვე, გვ. 9-10.

⁷ იქვე, გვ. 28.

⁸ იქვე.

რაც შეეხება არჩევნების შემდგომ საჩივრებს, დასკვნაში აღნიშნულია, რომ, ძირითადად, საჩივრების საგანი იყო უბნების გადათვლა ან/და საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმების ბათილად ცნობა,⁹ რომელთა უმეტესი ნაწილიც არ დაკმაყოფილდა.¹⁰ ეს, ძირითადად, იყო ზედაპირული პროცესი, არსებითი განხილვის, გამოძიებისა და დასაბუთების გარეშე.¹¹ ანგარიშმა საზგასმით მიუთითა, რომ საარჩევნო დავების მოგვარების სამართლებრივი ჩარჩო რთული და მეტისმეტად შემზღვეველი, ხოლო განხილვის ვადები – ძალიან მოკლე იყო.¹²

დასკვნაში ცალკე თავები ეთმობა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა: საარჩევნო სისტემა და სამართლებრივი ჩარჩო, საარჩევნო ადმინისტრაცია, ამომრჩეველთა რეგისტრაცია, პარტიისა და კანდიდატის რეგისტრაცია, საარჩევნო კამპანია, მედია, საჩივრები, არჩევნებში ეროვნულ უმცირესობათა მონაწილეობა, არჩევნების შემდგომი საჩივრები და სხვა.¹³

ანგარიში მოიცავს 30 რეკომენდაციას, რომელთა მიზანია საარჩევნო პროცესის გაუმჯობესება, გამჭვირვალობა და მისდამი საზოგადოების ნდობის ამაღლება. ეუთო/ოდირი მზადყოფნას გამოთქვამს, დაეხმაროს საქართველოს ამ და წინა ანგარიშებში მოცემული რეკომენდაციების დანერგვაში.¹⁴

IRI-ის 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების ტექნიკური შეფასების საერთაშორისო მისიის საბოლოო ანგარიში

საერთაშორისო რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა (IRI) 11 მარტს არჩევნების ტექნიკური შეფასების საერთაშორისო მისიის საბოლოო ანგარიში გამოაქვეყნა.¹⁵ IRI-ის ანგარიში მოიცავს საქართველოში 2020 წლის სექტემბერ-ნოემბრის განმავლობაში 6 გრძელვადიანი ანალიტიკოსის მიგნებებს როგორც არჩევნების დღეს, ისე მის წინა და შემდგომ პერიოდში.¹⁶ IRI-ის ანგარიშში ცალკეული თავებია დათმობილი ისეთი საკითხებისთვის, როგორცაა: საარჩევნო ადმინისტრაცია, საარჩევნო კამპანია და მისი ფინანსები, ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების ჩართულობა, მედია და საინფორმაციო სივრცე, ხმის მიცემა და თვლის პროცესი, საჩივრები და სხვა.¹⁷

ორგანიზაციის შეფასებით, წინასაარჩევნო პერიოდი იყო კარგად ორგანიზებული, გამჭვირვალე პროცესი, რომელმაც, მეტწილად, კანონმდებლობის დაცვით ჩაიარა.¹⁸

IRI-ის ანგარიშის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ 2020 წელს გატარებულმა საკანონმდებლო რეფორმებმა, გარკვეულწილად, გააუმჯობესა საარჩევნო გარემო, კვლავ პრობლემური რჩებოდა საარჩევნო დავების მოგვარების მექანიზმები, საოლქო და საუბნო საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტება და კამპანიის ფინანსური დარღვევების გამოძიება.¹⁹ კერძოდ, დასკვნაში აღნიშნულია, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის აღმასრულებელ თანამდებობებზე არჩეული იყო „ქართული ოცნების“ მიერ ნომინირებული 1483 წევრი მაშინ, როდესაც უბნის თავმჯდომარეებად, მოადგილეებად და მდივანებად ოპოზიციური წევრებიდან, ჯამურად, დანიშნული იყო მხოლოდ 13.²⁰

ორგანიზაციის დასკვნის მიხედვით, კენჭისყრის დღეს საარჩევნო ადმინისტრაციამ იმოქმედა კა-

⁹ იქვე, გვ. 31.

¹⁰ იქვე, გვ. 32.

¹¹ იქვე.

¹² იქვე.

¹³ *Georgia Parliamentary Elections 31 October 2020: ODIHR Limited Election Observation Mission Final Report.*

¹⁴ იქვე, გვ. 34.

¹⁵ „IRI Final Georgia Election Report Reveals Increased Participation, Need for Continued Reforms“, International Republican Institute, 11 March 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3nojnTL>, განახლებულია: 26.04.2021.

¹⁶ *არჩევნების ტექნიკური შეფასების საერთაშორისო მისია: 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები (IRI საქართველო, 2021)*, გვ. 6, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3dV8AND>, განახლებულია: 26.04.2021.

¹⁷ იქვე.

¹⁸ იქვე, გვ. 8.

¹⁹ იქვე, გვ. 7.

²⁰ იქვე, გვ. 9.

ნონმდებლობის ფარგლებში და ტექნიკური და ადმინისტრაციული ვალდებულებები, ძირითადად, ეფექტიანად შეასრულა.²¹ მცირე იყო არჩევნების დღეს ხმის მიცემის პროცედურებთან დაკავშირებული დარღვევებიც.²² ანგარიშის მიხედვით, შემაჯამებელ ოქმებში მათემატიკური ხარვეზების თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანი იყო, საუბნო საარჩევნო კომისიებს დაეცვათ პროცედურები და უზუსტობის შემთხვევაში თავიდან გადაეთვალათ ბიულეტენები.²³

IRI-ის ანგარიშის თანახმად, დარღვევები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა წინა არჩევნების დროს, 2020 წლის არჩევნებზეც განმეორდა.²⁴ კერძოდ, „საარჩევნო უბნებზე საარჩევნო სუბიექტები და მედია ჭარბად იყვნენ წარმოდგენილნი, რაც პოლიტიკური პარტიების მიერ საარჩევნო დაკვირვების უპარტიო მექანიზმის ბოროტად გამოყენებაზე მიუთითებდა“.²⁵ ანგარიშის თანახმად, საარჩევნო უბნებზე დამკვირვებელთა ჭარბმა რაოდენობამ ხელი შეუწყო უბნებზე და მათ გარშემო ქაოსური საარჩევნო გარემოს შექმნას და წარმოშვა კითხვები ამომრჩევლის ნების კონტროლთან დაკავშირებით.²⁶ გარდა ამისა, სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა დააფიქსირეს ფიზიკური ძალადობის ფაქტები, მათ შორის, დამოუკიდებელ დამკვირვებელთა წინააღმდეგაც, ჯანმრთელობის უსაფრთხოების ხელყოფის, საარჩევნო უბნებში და მის გარეთ ამომრჩეველზე ზეწოლის და ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის შემთხვევები.²⁷

IRI-ის ანგარიშში საჩივრებთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ მიუხედავად საჩივრების დიდი რაოდენობისა, რომლებითაც მოთხოვნილი იყო ხმების გადათვლა ან/და შედეგების გაუქმება, მხოლოდ მცირე ნაწილი დაკმაყოფილდა.²⁸

საერთაშორისო მხარდაჭერისა და საარჩევნო პროცესების შემდგომი გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით IRI-იმ შეიმუშავა 45 ძირითადი მიგნება და რეკომენდაცია. ორგანიზაცია მოუწოდებს ახლად არჩეულ მთავრობას, იმუშაოს დამკვირვებლების მიერ გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად და გაითვალისწინოს მათი რეკომენდაციები მომავალი საარჩევნო პროცესების გასაუმჯობესებლად.²⁹

ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის დასკვნები საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით

20 მარტს ვენეციის კომისიამ და ეუთო/ოდირმა ორი დასკვნა გამოაქვეყნეს, რომლებიც საარჩევნო კოდექსში, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ კანონსა და პარლამენტის რეგლამენტში შესატან ცვლილებებს შეეხება.³⁰ ორგანიზაციებმა საქართველოს პარლამენტს მოუწოდეს, გადაეხედა იმ სადავო კანონპროექტებისთვის, რომლებიც პარლამენტის ბიუჯეტის რეჟიმში მყოფი პარტიებისთვის სახელმწიფო დაფინანსების შეწყვეტას ან შეჩერებას, ასევე პარტიათა რეგისტრაციის გაუქმებას ეხება. ეს ინიციატივები „ქართული ოცნების“ დეპუტატებმა პარლამენტში გასული წლის დეკემბერში დააინიცირეს.³¹ დოკუმენტების მიხედვით, პარტიას საარჩევნო რეგისტრაცია

²¹ იქვე, გვ. 17.

²² იქვე.

²³ იქვე, გვ. 18.

²⁴ იქვე, გვ. 23.

²⁵ იქვე.

²⁶ იქვე, გვ. 23-25.

²⁷ იქვე, გვ. 23.

²⁸ იქვე, გვ. 26.

²⁹ იქვე, გვ. 5.

³⁰ Venice Commission, OSCE/ODIHR, *Joint Opinion on the Amendments to the Election Code, the Law on Political Associations and the Rules of Procedure of the Parliament of Georgia*, CDL-AD(2021)008 (Strasbourg: Council of Europe, 2021), ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3gGBSKV>, განახლებულია: 26.04.2021; Venice Commission, OSCE/ODIHR, *Joint Opinion on the draft Article 79' of the Election Code of Georgia*, CDL-AD(2021)009 (Strasbourg: Council of Europe, 2021), ხელმისაწვდომია: <https://www.osce.org/files/f/documents/a/3/482089.pdf>, განახლებულია: 24.03.2021.

³¹ ლაცაბიძე მ. საინფორმაციო ბიულეტენი №15, იანვარი 2021, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია,

გაუუქმდებოდა, თუ მის სასარგებლოდ აგიტაციას აქტიური საარჩევნო უფლების არმქონე პირი აწარმოებდა; გარდა ამისა, პარტიას სახელმწიფო დაფინანსება დროებით შეწყდებოდა, თუ იგი პარლამენტის წევრის მისთვის განკუთვნილ მანდატებს ან მათ ნახევარს მაინც არ აითვისებდა, ან, თუ მისი წარდგენით არჩეული პარლამენტის წევრების ნახევარი არასაპატიო მიზეზით გააცდენდა პლენარულ სხდომებს.³² ვენეციის კომისიისა და ოდირის საბოლოო ანგარიშების გამოქვეყნებამდე საიამ პარლამენტს ორივე კანონპროექტზე წარუდგინა დასკვნა, რომელშიც ორგანიზაცია მწვავედ აკრიტიკებდა მათ.³³

ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის ანგარიშებში ხაზგასმით აღნიშნულია შემოთავაზებული ცვლილებების გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული, ინკლუზიური და დემოკრატიული პროცესის მეშვეობით განხილვის აუცილებლობა.³⁴ რაც შეეხება შინაარსს, დოკუმენტში მითითებულია, რომ კანონპროექტები არ შეესაბამებოდა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს,³⁵ ხოლო პოლიტიკური პარტიებისთვის სახელმწიფო დაფინანსების სრულიად შეწყვეტა, ასევე, ლიდერის უცხო ქვეყნის მოქალაქეობის გამო, პარტიის რეგისტრაციიდან მოხსნა, გადაჭარბებული და არაპროპორციული ზომა იყო.³⁶ ტერმინ „პოლიტიკური ლიდერის“ განმარტებასთან დაკავშირებით ვენეციის კომისიამ და ეუთო/ოდირმა შეშფოთება გამოხატეს მისი განსაზღვრების ობიექტური კრიტერიუმების არარსებობის გამო.³⁷ დასკვნის ავტორებმა ასევე მიუთითეს, რომ პარტიებისთვის სახელმწიფო დაფინანსების შეწყვეტა საფრთხეს უქმნიდა მათი საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობას.³⁸

საია მიიჩნევს, რომ პარტიების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება, პირველ რიგში, ემსახურება პარტიების ქმედითობის უზრუნველყოფას და არა მხოლოდ მათი საპარლამენტო საქმიანობის ხელშეწყობას. მმართველი გუნდის მიერ ინიცირებული პროექტის მიხედვით პარტიებისთვის სახელმწიფო დაფინანსების ჩამორთმევა ორგანიზაციის მიერ აღიქმება, როგორც ხელისუფლების მხრიდან ოპოზიციისთვის განკუთვნილი თვითნებური სასჯელი.

რაც შეეხება საარჩევნო სუბიექტებისთვის რეგისტრაციის გაუქმებას, საიას აზრით, აუცილებელია, რომ დარღვევისთვის შერჩეული პასუხისმგებლობის ზომა იყოს შემაკავებელი, პროპორციული და დარღვევასთან უშუალოდ დაკავშირებული. პარტიისთვის საარჩევნო რეგისტრაციის უალტერნატივო წესით გაუქმება კი ასეთი არ არის.

ორგანიზაციის აზრით, პარლამენტმა მხედველობაში უნდა მიიღოს პარტიათა დანიშნულება, ასევე სახელმწიფო დაფინანსების მიზნები და არ დაუშვას პოლიტიკური გაერთიანებების ბლანკეტური, არაპროპორციულად შემზღვევლი, დაუსაბუთებელი და თვითნებურად მათი გზიდან ჩამოშორების საფრთხის შემცველი ნორმების გაჩენა კანონმდებლობაში. შესაბამისად, საია პარლამენტს მოუწოდებს, არ მიიღოს ინიცირებული კანონპროექტები.³⁹

გვ. 6, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/files/2020/15_geo.pdf, განახლებულია: 26.04.2021.

³² კაპანაძე ნ. „კიდევ ერთი ნეგატიური დასკვნა ვენეციის კომისიისა და ოდირისგან“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, 30 მარტი 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3alhPPk>, განახლებულია: 26.04.2021.

³³ „საიას აზრით, პოლიტიკური პროტესტის გამო პარტიებისთვის სახელმწიფო დაფინანსების შეწყვეტის მიზანი ოპოზიციის დასჯაა“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, 23 დეკემბერი 2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2PjUknU>, განახლებულია: 26.04.2021; „საია საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ლიდერის საარჩევნო კამპანიაში ჩართვის გამო პარტიების საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმების ინიციატივას უარყოფითად აფასებს“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, 18 მარტი 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3skE11Y>, განახლებულია: 26.04.2021.

³⁴ Venice Commission, OSCE/ODIHR, *Joint Opinion on the Amendments to the Election Code, the Law on Political Associations and the Rules of Procedure of the Parliament of Georgia*, para. 27.

³⁵ Venice Commission, OSCE/ODIHR, *Joint Opinion on the draft Article 79¹ of the Election Code of Georgia*, para. 32.

³⁶ იქვე, para. 13; Venice Commission, OSCE/ODIHR, *Joint Opinion on the Amendments to the Election Code, the Law on Political Associations and the Rules of Procedure of the Parliament of Georgia* para. 12.

³⁷ Venice Commission, OSCE/ODIHR, *Joint Opinion on the draft Article 79¹ of the Election Code of Georgia*, para. 14.

³⁸ Venice Commission, OSCE/ODIHR, *Joint Opinion on the Amendments to the Election Code, the Law on Political Associations and the Rules of Procedure of the Parliament of Georgia*, paras. 12, 42.

³⁹ „საიას აზრით, პოლიტიკური პროტესტის გამო პარტიებისთვის სახელმწიფო დაფინანსების შეწყვეტის მიზანი

საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმა

2 მარტს საარჩევნო სისტემის რეფორმაზე მომუშავე ჯგუფის თანათავმჯდომარეებმა, ქართული ოცნებისა და მოქალაქეების დეპუტატებმა – შალვა პაპუაშვილმა და ლევან იოსელიანმა პარლამენტში საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებათა პაკეტი დაარეგისტრირეს.⁴⁰

4 მარტს საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებული სამუშაო ჯგუფის მორიგი შეხვედრა გაიმართა. მას ესწრებოდნენ საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე, ცესკოს ხელმძღვანელობა.⁴¹ სხდომაზე მონაწილეებმა წარადგინეს და განიხილეს რეკომენდაციები კანონპროექტის შესახებ.⁴²

საიას რეკომენდაციები:

- 1) საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა უნდა განსაზღვრულიყო 3 დღით, ნაცვლად ამჟამინდელი 2-ისა. ეს ასევე უნდა შეხებოდა, საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრებას საქალაქო სასამართლოში. ხოლო ამ უკანასკნელის გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა უნდა შეცვლილიყო 2 დღით, ნაცვლად ერთისა;
- 2) კენჭისყრის შედეგები ხელახლა უნდა გადათვლილიყო იმ შემთხვევაში, როდესაც შემაჯამებელ ოქმს არ ახლდა შესწორების ოქმი, გადასწორებული იყო სუბიექტების მიერ მიღებული ხმები, ამომრჩეველთა რაოდენობა ან/და ბათილი ბიულეტენების რაოდენობა, ან/და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში ფიქსირდებოდა დისბალანსი;
- 3) საარჩევნო კომისიის სხდომაზე საკადრო საკითხების გადაწყვეტის კვორუმი უნდა განსაზღვრულიყო სიითი შემადგენლობის 2/3-ით;
- 4) საქართველოს პრეზიდენტისთვის ცესკოს წევრების წარსადგენი საკონკურსო კომისია უნდა დაკომპლექტებულიყო ბარიერგადალახული პარტიებით. კომისიაში გარანტირებული უნდა ყოფილიყო უმრავლესობისა და ოპოზიციის თანაბარი წარმომადგენლობა;
- 5) კომისიის წევრად დანიშნვის/არჩევისას მხედველობაში უნდა მიღებულიყო ბოლო არჩევნებზე კომისიის წევრობის კანდიდატის მიმართ გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ფაქტი, მისი ხასიათი და სიმძიმე;
- 6) საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები უნდა არჩეულიყვნენ შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, იმ პირობით, რომ მათ მხარს დაუჭერდა, მათ შორის, შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში პარტიების მიერ დანიშნული წევრების უმრავლესობა;
- 7) კენჭისყრის დღემდე 24 საათით ადრე უნდა აკრძალულიყო საარჩევნო აგიტაცია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, ტელერადიო მაუწყებლობაში წინასაარჩევნო აგიტაციის შემცველი ვიდეო ან/და აუდიო მასალის გაშვება;
- 8) მუნიციპალიტეტებში არჩევნები უნდა ჩატარებულიყო პროპორციული საარჩევნო სისტემით, ნაცვლად შერეულისა.

ოპოზიციის დასჯა“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია; „საია საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ლიდერის საარჩევნო კამპანიაში ჩართვის გამო პარტიების საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმების ინიციატივას უარყოფითად აფასებს“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.

⁴⁰ „საარჩევნო სისტემის რეფორმაზე მომუშავე ჯგუფმა ცვლილებების პროექტი წარადგინა“, *საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“*, 2021 წლის 3 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2S1QalP>, განახლებულია: 26.04.2021.

⁴¹ „პარლამენტი საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებულ კანონპროექტს ეუთო/ოდირში გაგზავნის“, *საინფორმაციო პორტალი „პალიტრანიუსი“*, 2021 წლის 4 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3gUwET1>, განახლებულია: 26.04.2021.

⁴² იქვე.

სამუშაო ჯგუფის ფარგლებში კანონპროექტზე რეკომენდაციები წარმოადგინეს „ევროპელმა სოციალისტებმაც“. მათთვის მისაღები იყო საარჩევნო კომისიის შერეული მოდელი. მათი აზრით, პროფესიული ნიშნით ცესკოს წევრის შერჩევა შესაძლებელი უნდა ყოფილიყო პრეზიდენტთან შექმნილი სათათბირო ორგანოს მეშვეობით, რომელიც დაკომპლექტდებოდა როგორც არასამთავრობო სექტორის, ასევე პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებით. პოლიტიკურ სუბიექტს, რომელიც, ბოლო საპარლამენტო არჩევნების შედეგების გათვალისწინებით, იყენებდა სადეპუტატო მანდატს და ჰყავდა პარლამენტში თუნდაც ერთი წარმომადგენელი, უნდა ესარგებლა სახელმწიფო დაფინანსებით. პარტია ასევე ემხრობოდა საუბნო საარჩევნო კომისიის შერეული პრინციპის საფუძველზე დაკომპლექტების შენარჩუნებას. გარდა ამისა, „ევროპელმა სოციალისტებმა“ მხარი დაუჭირეს თბილისში ექსპერიმენტის სახით არჩევნების ჩატარებას ელექტრონული დათვლის პრინციპის საფუძველზე.

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ კანონპროექტთან დაკავშირებით ერთობლივი მოსაზრება გაავრცელეს.⁴³ მათი თქმით, ინიცირებული დოკუმენტი რამდენიმე საკვანძო საკითხს გვერდს უვლიდა.⁴⁴ კერძოდ, ბოიკოტის რეჟიმში მყოფი ოპოზიციური პარტიები კვლავ ვერ შეძლებდნენ საარჩევნო ადმინისტრაციების წევრთა წარდგენას, რადგანაც, ცვლილებების თანახმად, კომისიებში წარმომადგენლის ყოლის შესაძლებლობა მხოლოდ იმ პარტიებს ექნებოდათ, რომელთაც მინიმუმ ერთი მოქმედი დეპუტატი მაინც ჰყავდათ და სახელმწიფო დაფინანსებას იღებდნენ. ორგანიზაციების რეკომენდაციები ასევე შეეხო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესს, საარჩევნო სისტემას, საარჩევნო ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას და სხვა.⁴⁵

პარლამენტის ბიურომ ინიცირებული კანონპროექტი 9 მარტს განიხილა და ის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს გადასცა.⁴⁶ თუმცა, 26 მარტს კომიტეტმა ბიუროს კანონპროექტის განხილვის ვადის გაგრძელების თაობაზე თხოვნით მიმართა, რომელიც დაკმაყოფილდა და ვადა 30 აპრილამდე გახანგრძლივდა.⁴⁷

საკონსტიტუციო ცვლილებები საარჩევნო ბარიერთან დაკავშირებით

საპარლამენტო უმრავლესობამ მზადება დაიწყო საკონსტიტუციო ცვლილებების ინიცირებისთვის, რომლის ფარგლებშიც საპარლამენტო არჩევნების 5%-იანი ბარიერის 3%-მდე დაწვევა გათვალისწინებული.⁴⁸ გარდა ამისა, იგეგმება პარლამენტში ფრაქციის შექმნისთვის საჭირო დეპუტატების მინიმალური რაოდენობის 7-დან 4-მდე შემცირება.⁴⁹ მნიშვნელოვანია, რომ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანისთვის, სულ მცირე, 113 დეპუტატის მხარდაჭერაა საჭირო, რაც

⁴³ „2021 წლის საარჩევნო რეფორმის შეფასება“, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების ოფიციალური ვებგვერდი, 16 მარტი 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ey4biL>, განახლებულია: 26.04.2021.

⁴⁴ იქვე.

⁴⁵ იქვე.

⁴⁶ საქართველოს ორგანული კანონის პროექტები: „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილებების შეტანის შესახებ“, „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტი „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებების შეტანის შესახებ“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 9 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/32TTG3U>, განახლებულია: 26.04.2021.

⁴⁷ საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 29 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3gGCxTr>, განახლებულია: 26.04.2021.

⁴⁸ „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო ცვლილებების ინიცირებისთვის ემზადება, რომლის ფარგლებშიც საპარლამენტო არჩევნების 5%-იანი ბარიერის 3%-მდე დაწვევა იგეგმება“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 25 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3gL3S70>, განახლებულია: 26.04.2021.

⁴⁹ იქვე.

აღემატება იმ პარლამენტართა რაოდენობას, რომლებიც ამჟამად სადეპუტატო უფლებამოსილებას ახორციელებენ საკანონმდებლო ორგანოში.⁵⁰ ეს ცვლილებები გათვალისწინებულია „ქართულ ოცნებასა“ და პარტია „მოქალაქეებს“ შორის გაფორმებული მემორანდუმით. **შემოთავაზებული ვერსია მოქმედზე უკეთესია, თუმცა საარჩევნო სისტემის სამართლიანობის საბოლოოდ უზრუნველსაყოფად საია მიიჩნევს, რომ ყველა შემდგომი საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს ბუნებრივთან მიახლოებული საარჩევნო ბარიერით, სრულად პროპორციული სისტემის პირობებში.**

ევროკავშირის რეაბირება საქართველოს პოლიტიკურ კრიზისზე

1-ლ მარტს ევროპული საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი საქართველოში ვიზიტის ფარგლებში ხელისუფლებისა და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს შეხვდა.⁵¹ ხელისუფლების მხრიდან შარლ მიშელმა შეხვედრები გამართა პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილთან,⁵² პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან⁵³ და პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძესთან.⁵⁴ მთავრობის ადმინისტრაციაში პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შემდეგ ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა ხელისუფლების და ოპოზიციის წარმომადგენლები იმავე დღეს შეხვედრაზე მიიწვია და განაცხადა, რომ ევროკავშირი მზად იყო, ფასილიტაციიდან მედიაციაზე გადასულიყო.⁵⁵ მხარეებმა მიიღეს შარლ მიშელის შემოთავაზება და, ამ უკანასკნელის ორგანიზებით, ისინი ერთმანეთს ორბელიანების სასახლეში შეხვდნენ.⁵⁶ შეხვედრაზე ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა მხარეებს ექვსპუნქტიანი გეგმა გააცნო, რომელშიც საკითხებს შორის შედიოდა „ამბიციური საარჩევნო რეფორმა“ და „პოტენციური ადრეული არჩევნები და მზადება ადგილობრივი არჩევნებისთვის“.⁵⁷ შეხვედრის შემდეგ ოპოზიციონერი ლიდერების განცხადებებით გაირკვა, რომ მხარეებმა მხოლოდ პოზიციები გაცვალეს.⁵⁸ შარლ მიშელმა აღნიშნა, რომ პოლიტიკურ პარტიებს შორის დიალოგი განახლდა⁵⁹ და მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა სწორი მიმართულებით.⁶⁰ მისი თქმით, ევროკავშირი ამ „რთულ

⁵⁰ „96 დეპუტატი, 90-ზე მეტი კანონპროექტი - ამ პარლამენტის არევის საშუალებას არავის მივცემთ“, *საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“*, 2021 წლის 25 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3dWvnsk>, განახლებულია: 26.04.2021.

⁵¹ „ევროპული საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი დღეს საქართველოს ხელისუფლებისა და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს შეხვდება“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 1-ლი მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3eCSV4G>, განახლებულია: 26.04.2021.

⁵² „შარლ მიშელი - ევროკავშირის სურს, დარჩეს საქართველოს გვერდით, მინდა, კიდევ ერთხელ გამოვიცხადოთ ევროკავშირის მხრიდან მეგობრობის მესიჯი“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 1-ლი მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3dSFHSc>, განახლებულია: 26.04.2021.

⁵³ „ირაკლი ღარიბაშვილი შარლ მიშელს შეხვდა“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 1-ლი მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3eFngzU>, განახლებულია: 26.04.2021..

⁵⁴ იქვე.

⁵⁵ „შარლ მიშელი - ყველას ვინვევ, რომ დღეს საღამოს შეხვდეთ. დადგა დრო, ფასილიტაციიდან გადავიდეთ მედიაციაზე“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 1-ლი მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3tUG6cE>, განახლებულია: 26.04.2021.

⁵⁶ „ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის შარლ მიშელის ორგანიზებით შეხვედრა მიმდინარეობს“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 1-ლი მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3aHbYdg>, განახლებულია: 26.04.2021.

⁵⁷ „რადიო თავისუფლებისთვის ცნობილი გახდა ორბელიანის სასახლეში განხილული 6 საკითხი“, *საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“*, 2021 წლის 2 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3aJspWd>, განახლებულია: 26.04.2021.

⁵⁸ „პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის შარლ მიშელის მონაწილეობით შეხვედრა დასრულდა“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 1-ლი მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ey4vxZ>, განახლებულია: 26.04.2021.

⁵⁹ „რადიო თავისუფლებისთვის ცნობილი გახდა ორბელიანის სასახლეში განხილული 6 საკითხი“, *საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“*.

⁶⁰ „Remarks by President Charles Michel after his meeting in Georgia with Prime Minister Garibashvili and representatives of opposition political parties“, European Council, 1 March 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2S1QxNf>, განახლებულია: 26.04.2021.

თემაზე” მიღწეულ პროგრესს ორ კვირაში ბრიუსელში, ასოცირების საბჭოს მორიგ შეხვედრაზე დააკვირდებოდა.⁶¹

ევროპული საბჭოს პრეზიდენტთან შეხვედრის შემდგომ ოპოზიციურმა პარტიებმა ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური კრიზისის განმუხტვისთვის კომპრომისის სახით ხელახალი არჩევნების შესახებ პლემბისციტის ჩატარებაზე ისაუბრეს.⁶² თუმცა, ამ იდეას მონინაალმდეგეები ოპოზიციასივე გამოუჩნდნენ.⁶³

პოლიტიკური პარტიების დიალოგის განახლება დადებითად შეაფასეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა და სამოქალაქო საზოგადოებამ. მათ მზადყოფნა გამოთქვეს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ როგორც მთავრობის, ისე ოპოზიციისთვის წინადადებების წარდგენისა და დემოკრატიული რეფორმების განხორციელების პროცესში.⁶⁴

დებატები ევროპარლამენტში

ევროპარლამენტში საქართველოში არსებულ პოლიტიკურ კრიზისზე 9 მარტს დებატები გაიმართა.⁶⁵ პარლამენტის წევრებმა კრიზისის მხარეებს დიალოგისა და კომპრომისისკენ მოუწოდეს. საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ჯოზეფ ბორელმა აღნიშნა, რომ არსებული სიტუაცია საფრთხეს უქმნიდა დემოკრატიას და საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების მომავალს.⁶⁶ ევროპის სახალხო პარტიის წევრმა დევიდ მაკალისტერმა მოუწოდა მხარეებს ამბიციური საარჩევნო და სასამართლო რეფორმების გატარებისკენ, ასევე, პოლიტიზებული მართლმსაჯულების პრობლემის გადაჭრის, პარლამენტში ძალაუფლების გადანაწილების, 2020 წლის არჩევნებთან დაკავშირებით საგამოძიებო კომისიის ჩამოყალიბებისა და ადგილობრივი არჩევნებისთვის მზადებისკენ.⁶⁷ ევროპის კონსერვატორებისა და რეფორმატორების ჯგუფის წევრმა ანა ფოტიგამ შეშფოთება გამოხატა საქართველოში მიმდინარე მოვლენების მიმართ და იმედი გამოთქვა, რომ პრეზიდენტ შარლ მიშელის მედიაცია შედეგს გამოიღებდა.⁶⁸ მწვანეების ჯგუფის წევრმა ვიოლა ფონ კრამონ-ტაუბადელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კრიზისის გაღრმავებაში ბრალი ორივე ბანაკის პოლიტიკოსებს მიუძღოდათ, ვინაიდან მათ ქვეყნის ინტერესებზე მალა საკუთარი ეგო დააყენეს და თანამშრომლობას პოლარიზაცია არჩიეს. მისი თქმით, რიგგარეშე არჩევნები მხოლოდ უკიდურესი გამოსავალი იყო და არა - საკითხის გრძელვადიანი გადაწყვეტა. მან მხარეებს საარჩევნო და სასამართლო რეფორმების გატარებისა და საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესებისკენ მოუწოდა.⁶⁹ ამავე ჯგუფის წევრმა, ევროპარლამენტარმა მარკეტა გრეგოროვამ მკვეთრი აქცენტი გააკეთა საარჩევნო და სასამართლო რეფორმებზე. ამასთან, მან ნიკა მელიას და გიორგი რურუას „პოლიტი-

⁶¹ იქვე.

⁶² „დღის სტუმარი“, მთავარი არხის ოფიციალური Facebook-გვერდი, 2021 წლის 18 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2QxFOK4>, განახლებულია: 26.04.2021.

⁶³ ასეთი პარტიები იყვნენ, მაგალითად, „მოქალაქეები“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, იხ. „ლევან იოსელიანი - პლემბისციტი ხაფანგია და თუ მასში ოპოზიცია თავს გაყოფს, აუცილებლად დამარცხდება“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 5 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/32NRDhY>, განახლებულია: 26.04.2021; „გიგი უგულავა - მე მქონდა მიხეილ სააკაშვილთან საუბარი და შეეჯერდი, რომ ახლა პლემბისციტის საკითხის დამუნათება არასწორია“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 5 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3xyrJLI>, განახლებულია: 26.04.2021; „გიორგი ბარამიძის განცხადებით, ოპოზიციის მოთხოვნა არა პლემბისციტი, არამედ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებია“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 4 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3exuK7L>, განახლებულია: 26.04.2021.

⁶⁴ „არასამთავრობოები - ხშირია პოლიტიკურად მოტივირებული გამოძიებები, რისი მკაფიო ილუსტრაციაც ნიკა მელიას დაპატიმრებაა“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 5 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2S5QvEi>, განახლებულია: 26.04.2021.

⁶⁵ „ევროპარლამენტში საქართველოში არსებულ კრიზისზე დებატები გაიმართა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 9 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/404672>, განახლებულია: 26.04.2021.

⁶⁶ იქვე.

⁶⁷ იქვე.

⁶⁸ იქვე.

⁶⁹ იქვე.

პატიმრები“ უნდა და ხელისუფლებას მათი გათავისუფლების რეკომენდაციით მიმართა.⁷⁰

ევროპული საბჭოს პრეზიდენტის მიერ მედიატორის დანიშვნა

ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა, საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლეს კომისარ ჯოზეფ ბორელთან შეთანხმებით, კრისტიან დანიელსონი საქართველოში ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პოლიტიკური დიალოგის მედიატორად დანიშნა.⁷¹ პრეზიდენტმა მიშელმა და უმაღლესმა წარმომადგენელმა ბორელმა ყველა პოლიტიკურ სუბიექტს კონსტრუქციული დიალოგისკენ მოუწოდეს.⁷²

კრისტიან დანიელსონი საქართველოს 12 მარტს ესტუმრა და მისი ვიზიტი 14 მარტს უნდა დასრულებულიყო.⁷³ ის იმავე დღეს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს⁷⁴ და პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიბაშვილს შეხვდა.⁷⁵ შეხვედრების შემდეგ კრისტიან დანიელსონმა აღნიშნა, რომ კრიზისის მოსაგვარებლად საჭირო იყო კომპრომისი, ხოლო მისი და მისი გუნდის როლი, აშშ-ის ელჩ კელი დეგნანთან ერთად, გამოიხატებოდა მხარეების დახმარებაში შეთანხმების მისაღწევად, ვინაიდან საბოლოოდ ყველაფერი მათზე იყო დამოკიდებული.⁷⁶ ის შეხვდა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებსაც.⁷⁷

13 მარტს ევროპული საბჭოს პრეზიდენტის სპეციალურმა წარმომადგენელმა ცალკე შეხვედრები გამართა „ქართული ოცნების“, გაერთიანებული ოპოზიციის,⁷⁸ ასევე იმ დანარჩენი ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებთან, რომელთაც 2020 წლის ოქტომბრის არჩევნებზე 1%-იანი ბარიერი გადალახეს.⁷⁹ შეხვედრებზე მხარეებმა მედიატორს შარლ მიშელის ექვსპუნქტიანი გეგმასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციები გაუზიარეს და მზაობა გამოთქვეს შეთანხმების მისაღწევად.⁸⁰

⁷⁰ „მარკეტა გრეგოროვა - საქართველოს შეუძლია, დაუბრუნდეს სწორ გზას, გაათავისუფლოს პოლიტიკური პატიმრები გიორგი რურუა და ნიკა მელია“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 9 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3aKqAZj>, განახლებულია: 26.04.2021.

⁷¹ „President Michel mandates Christian Danielsson to engage as personal envoy, in EU-mediated political dialogue in Georgia“, European Council, 8 March 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3gl95fK>, განახლებულია: 26.04.2021.

⁷² იქვე.

⁷³ „შარლ მიშელის პირადი წარმომადგენელი კრისტიან დანიელსონი უკვე საქართველოშია“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 12 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3aH9lrL>, განახლებულია: 26.04.2021.

⁷⁴ „სალომე ზურაბიშვილი შარლ მიშელის პირად წარმომადგენელს კრისტიან დანიელსონს სვდება“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 12 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3eyrSaS>, განახლებულია: 26.04.2021.

⁷⁵ „კრისტიან დანიელსონი ირაკლი ლარიბაშვილს სვდება“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 12 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3nqio5F>, განახლებულია: 26.04.2021.

⁷⁶ „ევროკავშირის მედიატორი დანიელსონი საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს სვდება“, *საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“*, 2021 წლის 12 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2R3cWti>, განახლებულია: 26.04.2021.

⁷⁷ შეხვედრას ესწრებოდნენ: საია, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, „სამართლიანი არჩევნები“, იხ. „კრისტიან დანიელსონი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს სვდება“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 12 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3gGDmM1>, განახლებულია: 26.04.2021.

⁷⁸ „კრისტიან დანიელსონი „ნაციონალური მოძრაობისა“ და მასთან ერთად ბლოკში მყოფი პარტიების წარმომადგენლებს სვდება“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 12 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3sPwgr2>, განახლებულია: 26.04.2021.

⁷⁹ „ქრისტიან დანიელსონი თბილისში შეხვედრებს განაგრძობს“, *საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“*, 2021 წლის 13 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/405774>, განახლებულია: 26.04.2021; „კრისტიან დანიელსონი არჩილ თალაკვაძეს, ირაკლი კობახიძეს და კახა კუჭავას სვდება“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 12 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3gUxrmX>, განახლებულია: 26.04.2021.

⁸⁰ „ირაკლი კობახიძე - როცა ჩანანერების არც ავთენტურობა იცი, არც შინაარსი და დიალოგის ჩაშლაზე საუბრობ, მეტყველებს იმაზე, რომ დიალოგის ჩაშლა მათთვის იყო თვითმიზანი, თუმცა ვერ მოახერხეს“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 12 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3nsRdam>, განახლებულია: 26.04.2021; „სალომე სამადაშვილი - არსებობს პუნქტები, რომლებზეც მოუწევს დათანხმება „ქართულ ოცნებასაც“ და ოპოზიციასაც იმისთვის, რომ მოლაპარაკებების პროცესი დასრულდეს წარმატებით“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 12 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3tUwFd2>, განახლებულია: 26.04.2021; „ხათუნა სამინიძე - პარლამენტში არავინ შედის კონკრეტული შეთანხმების გარეშე“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 12 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3xq4DZd>, განახლებულია: 26.04.2021; „არჩილ თალაკვაძე -

14 მარტს კრისტიან დანიელსონმა კიდევ ერთხელ გამართა ცალკეული შეხვედრები ოპოზიციისა და უმრავლესობის წარმომადგენლებთან.⁸¹ მხარეებმა შეხვედრების დეტალებზე ვერ ისაუბრეს, თუმცა პარტია „გირჩი – მეტი თავისუფლების“ ლიდერ ზურაბ ჯაფარიძის თქმით, ამჯერად უფრო დეტალურად მიმოიხილეს საკითხები, რაც მას შეთანხმების მიღწევის იმედს აძლევდა.⁸² „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, რომ პარტია ხელს მოაწერდა მხოლოდ იმას, რასაც სამართლიანად მიიჩნევდა.⁸³ გარდა ამისა, მან განაცხადა, რომ ამ ეტაპზე მოლაპარაკებები დასრულებული იყო და ის გაგრძელდებოდა ირაკლი ლარიბაშვილის ბრიუსელში ასოცირების საბჭოს სხდომაზე ვიზიტის შემდგომ.⁸⁴ მიუხედავად ამისა, იმავე საღამოს კრისტიან დანიელსონმა თავისი ვიზიტის ერთი დღით გახანგრძლივება გადაწყვიტა.⁸⁵ მისი თქმით, ნათელი იყო, რომ მხარეებს სჭირდებოდათ მეტი დრო, ვინაიდან მათ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს.⁸⁶ დანიელსონის ამ გადაწყვეტილებას „მოულოდნელი“ უწოდა ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძემ.⁸⁷

მომდევნო დღეს ევროპული საბჭოს პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი კიდევ ერთხელ შეხვდა პრეზიდენტ ზურაბიშვილს.⁸⁸ მხარეებმა შეხვედრაზე ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მიმდინარე მოლაპარაკებების პროცესი განიხილეს.⁸⁹

დანიელსონმა 15 მარტს განაახლა შეხვედრები უმრავლესობის წარმომადგენლებთან.⁹⁰ ეს პროცესები ირაკლი ლარიბაშვილის ბრიუსელში ვიზიტის პარალელურად მიმდინარეობდა. კერძოდ, 15 მარტს პრემიერ-მინისტრი, საგარეო საქმეთა, ეკონომიკისა და იუსტიციის მინისტრებთან, ასევე საქართველოში ევროკავშირის ელჩ კარლ ჰარცელთან ერთად, სამდღიანი ვიზიტით ბრიუსელში გაემგზავრა.⁹¹ ვიზიტის ფარგლებში ირაკლი ლარიბაშვილი შეხვდა ევროპული საბჭოს პრეზიდენტ

სამართლიანი პრინციპების ფარგლებში გადავდგამთ ნაბიჯებს, რათა შეთანხმება მოხდეს“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 12 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3veu6Tw>, განახლებულია: 26.04.2021.

⁸¹ ის „ცალ-ცალკე შეხვდა, ერთი მხრივ, ქართული ოცნების, მეორე მხრივ, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო ბლოკის წარმომადგენლებს და მესამე შეხვედრაზე ლელოს, სტრატეგია აღმაშენებლის, გირჩის, გირჩი – მეტი თავისუფლებისა და ევროპული საქართველოს წარმომადგენლებს“. იხ. „ევროკავშირის მედიაცენტრი: დანიელსონი კიდევ ერთხელ შეხვდა მმართველ პარტიასა და ოპოზიციას“, *საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“*, 2021 წლის 14 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/405841>, განახლებულია: 26.04.2021; „კრისტიან დანიელსონი ოპოზიციური პარტიების ლიდერების ნაწილს ხვდება“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 14 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3tWt0vr>, განახლებულია: 26.04.2021.

⁸² „ზურაბ ჯაფარიძე - ბევრად უფრო დეტალებში წავედით საკითხების განხილვის დროს, მაქვს მოლოდინი, რომ, შესაძლოა, საბოლოო ჯამში, მივიღეთ შეთანხმებამდე - წინადადებები მოდის თვითონ მედიატორისგან“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 14 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3dV5dXe>, განახლებულია: 26.04.2021.

⁸³ „ევროკავშირის მედიაცენტრი: დანიელსონი კიდევ ერთხელ შეხვდა მმართველ პარტიასა და ოპოზიციას“, *საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“*.

⁸⁴ „ირაკლი კობახიძე - მოლაპარაკებები გაგრძელდება ვიზიტის შემდეგ - შეხვედრები დღეს დასრულებულია“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 14 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3vqk41t>, განახლებულია: 26.04.2021.

⁸⁵ „კრისტიან დანიელსონი - იმისთვის, რომ პროცესი წინ წავიდეს, ხვალაც ვრჩები თბილისში“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 14 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3xAK1h5>, განახლებულია: 26.04.2021.

⁸⁶ იქვე.

⁸⁷ „მოულოდნელი იყო“ — მდინარაძე დანიელსონის საქართველოში დარჩენაზე“, *საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“*, 2021 წლის 15 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3eB3WUa>, განახლებულია: 26.04.2021.

⁸⁸ „კრისტიან დანიელსონი ოპოზიციონერი ლიდერების შემდეგ სალომე ზურაბიშვილს შეხვდა“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 15 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3dV9KZv>, განახლებულია: 26.04.2021.

⁸⁹ „პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, სალომე ზურაბიშვილმა კრისტიან დანიელსონთან მოლაპარაკებების პროცესი განიხილა“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 15 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3eysixY>, განახლებულია: 26.04.2021.

⁹⁰ „კრისტიან დანიელსონი „ქართული ოცნების“ ლიდერებს ხვდება“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 15 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3sYo3Rk>, განახლებულია: 26.04.2021.

⁹¹ „პრემიერ-მინისტრი ბრიუსელში გაემგზავრა“, *საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“*, 2021 წლის 15 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/406052>, განახლებულია: 26.04.2021.

შარლ მიშელს და ბელგიის პრემიერ-მინისტრ ალექსანდერ დე კროს.⁹² 16 მარტს კი ის დაესწრო საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს სხდომას.⁹³ ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, ევროპული საბჭოს პრეზიდენტთან ხანგრძლივ შეხვედრაზე მან შარლ მიშელს პოლიტიკურ კრიზისთან დაკავშირებით „ქართული ოცნების“ პოზიცია გაუზიარა და აღნიშნა, რომ პარტია გამოსავლის ძიებისთვის მზად იყო, თუმცა ეს არ მოხდებოდა სახელმწიფო ინტერესების ხარჯზე.⁹⁴

დანიელსონთან შეხვედრის შემდეგ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ და პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძემ იმედი გამოთქვეს, რომ პოზიციები დაახლოვდებოდა და საბოლოო შეთანხმება შედგებოდა.⁹⁵ გარდა ამისა, ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, რომ ოპოზიციის მოთხოვნა ვადამდელ არჩევნებთან დაკავშირებით იყო უსაფუძვლო, რასაც მოწმობდა ეუთო-ოდირის, ასევე IRI-ის დასკვნებიც, რომელთა მიხედვით, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა კონკურენტულ გარემოში და ძირითადი პრინციპების დაცვით.⁹⁶ მან იქვე დასძინა, რომ მხარეებს შორის პოლიტპატიმრებთან დაკავშირებით პრინციპული აზრთა სხვადასხვაობა იყო, ვინაიდან უმრავლესობის მოსაზრებით, საქართველოში პოლიტპატიმრები არ იყვნენ, არამედ იყვნენ კრიმინალები პოლიტიკაში.⁹⁷

იმავდროულად, ბრიუსელში ირაკლი ღარიბაშვილსა და ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელს შორის შეხვედრა ზედიზედ ორჯერ გაიმართა.⁹⁸ საბოლოოდ, შეხვედრებთან დაკავშირებით ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ მან პრეზიდენტ მიშელს გაუზიარა „ქართული ოცნების“ პოზიცია კრიზისთან დაკავშირებით. მისი თქმით, ბოლო დღეების განმავლობაში ოპოზიცია ცდილობდა დესტრუქციული მანერით მოლაპარაკებებისთვის ხელის შეშლას.⁹⁹ ღარიბაშვილმა ასევე დაამატა, რომ ევროპის საბოლოო ამოცანა იყო პოლიტიკური პარტიების მიერ საქმიანობის პარლამენტში გაგრძელება.¹⁰⁰

ასოცირების საბჭოს სხდომა ბრიუსელში

16 მარტს ბრიუსელში საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს სხდომა გაიმართა.¹⁰¹ მას თავმჯდომარეობდა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი ჯოზეფ ბორელი, ხოლო კომისიას ასევე წარმოადგენდა ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარი ოლივერ ვარჰეი.¹⁰² ასოცირების საბჭოს სხდომაზე მონაწილეებმა განიხილეს საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობა, მათ შო-

⁹² „საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბრიუსელში შეხვედრებს მართავს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 16 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/406228>, განახლებულია: 26.04.2021.

⁹³ „პრემიერ-მინისტრი ბრიუსელში გაემგზავრა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“.

⁹⁴ „საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბრიუსელში შეხვედრებს მართავს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“.

⁹⁵ „ირაკლი კობახიძე - გვაქვს იმედი, რომ მოლაპარაკებები დასრულდება შეთანხმების ხელმოწერით“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 15 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3dSGUsU>, განახლებულია: 26.04.2021; „არჩილ თალაკვაძე - ვფიქრობ, უკვე შეთანხმების პუნქტები ყალიბდება იმ ფორმით, რომ პოზიციების დაახლოება შესაძლებელია“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 15 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2R6gwmw>, განახლებულია: 26.04.2021.

⁹⁶ „ირაკლი კობახიძე - ერთ მხარეს ვართ ჩვენ და საერთაშორისო პარტნიორები, მეორე მხარეს - ოპოზიცია, რომელიც ამტკიცებს იმას, რაც ბუნებაში არ მომხდარა“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 15 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2QZMwIX>, განახლებულია: 26.04.2021.

⁹⁷ „ირაკლი კობახიძე - საქართველოში პოლიტპატიმრები არ არიან, არიან კრიმინალები პოლიტიკაში“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 15 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3nsRMB0>, განახლებულია: 26.04.2021.

⁹⁸ „ღარიბაშვილი ბელგიის პრემიერის შემდეგ მიშელს მეორედ ხვდება“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 2021 წლის 15 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/526914/>, განახლებულია: 26.04.2021.

⁹⁹ „ირაკლი ღარიბაშვილი - მთელი ცივილიზებული ევროპის და შარლ მიშელის საბოლოო სურვილი და ამოცანაა, რომ ჩვენ, ხელისუფლებამ, ოპოზიციასთან ერთად გავაგრძელოთ მუშაობა პარლამენტში“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 15 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3dTUvA8>, განახლებულია: 26.04.2021.

¹⁰⁰ იქვე.

¹⁰¹ „EU-Georgia Association Council, 16 mars 2021“, European Council, 16 March 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3glXzRs>, განახლებულია: 26.04.2021.

¹⁰² იქვე.

რის, პოლიტიკურ დიალოგსა და რეფორმებთან, პოლიტიკურ გაერთიანებებთან, მართლმსაჯულე-ბასთან, თავისუფლებასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები.¹⁰³ სხდომის შემდგომ ერთობლივი პრესკონფერენცია გაიმართა, სადაც ჯოზეფ ბორელმა აღნიშნა, რომ გამოსავლის მოძებნაში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მმართველ პარტიასა და მთავრობას ეკისრებოდა.¹⁰⁴ ვადამდელი არჩევნების ჩატარებაზე ოპოზიციის მოთხოვნის შესახებ მან განაცხადა, რომ ახალი არჩევნების ჩატარების საკითხის გადაწყვეტა მასზე არ იყო დამოკიდებული.¹⁰⁵ თუმცა, მისივე თქმით, ეუთომ ჩატარებული არჩევნები შეაფასა, როგორც „თავისუფალი და დამოუკიდებელი“.¹⁰⁶ ბორელმა ასევე მიუთითა, რომ შეთანხმების მიღწევის პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ორივე მხარეს.¹⁰⁷

ევროკავშირის მედიაციის ფარგლებში ოპოზიციისა და „ქართული ოცნების“ პირველი შეხვედრა

ევროკავშირის მედიაციის მეექვსე დღეს კრისტიან დანიელსონის შუამავლობით უმრავლესობის და ოპოზიციის წარმომადგენლები რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ პირველად შეხვდნენ ერთმანეთს მოლაპარაკების მაგიდასთან.¹⁰⁸ შეხვედრა პროტესტის ნიშნად დატოვა პარტია „ლეიბორისტების“ ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა. მან მიზეზად ვადამდელი არჩევნებისა და პოლიტპატიმრების გათავისუფლების საკითხის უგულბელებოება დაასახელა და იქვე აღნიშნა, რომ ის დაუბრუნდებოდა დიალოგს, როგორც კი ეს ორი საკითხი პრიორიტეტულ ადგილს დაიკავებდა.¹⁰⁹ შეხვედრის დანარჩენი მონაწილეების თქმით, მიუხედავად იმისა, რომ მხარეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, მოლაპარაკებების პროცესი სწორი მიმართულებით წარიმართა.¹¹⁰ კრისტიან დანიელსონმა შეხვედრა პოზიტიურად შეაფასა.¹¹¹

მხარეებმა მოლაპარაკება 18 მარტს განაახლეს.¹¹² თუმცა, 10-საათიანი შეხვედრის შემდეგ უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის შეთანხმება კვლავ ვერ შედგა.¹¹³ კრისტიან დანიელსონის თქმით, პრეზიდენტ მიშელის მიერ დატოვებული 6-პუნქტიანი გეგმის ირგვლივ ზოგიერთ პუნქტზე მნიშვნელოვანი პროგრესი იყო, თუმცა მხარეები ძირითად საკითხებზე ვერ შეთანხმდნენ.¹¹⁴ დანიელსონის აზრით, საბოლოოდ, პასუხისმგებლობა კრიზისის მოსაგვარებლად ქართულ პოლიტიკურ სუბიექტებს ეკისრებოდათ.¹¹⁵ მან იმავე საღამოს საქართველო დატოვა და ბრიუსელში პრეზიდენტ

¹⁰³ იქვე.

¹⁰⁴ „ყოზე ბორელი - გამოსავლის მოძებნაში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება მმართველ პარტიასა და მთავრობას, თუმცა პარლამენტის ბოიკოტირება არ ნაადგება დემოკრატიის ფუნქციონირებას“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 16 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3xr91a9>, განახლებულია: 26.04.2021.

¹⁰⁵ „ყოზე ბორელი - ჩემზე არ არის დამოკიდებული იმის გადაწყვეტა, უნდა იყოს თუ არა საქართველოში ახალი არჩევნები. რაც შემძლია გითხარით, არის ის, რომ ეუთო არჩევნებს განიხილავს, როგორც თავისუფალს“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 16 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3gL5zRU>, განახლებულია: 26.04.2021.

¹⁰⁶ იქვე.

¹⁰⁷ „EU-Georgia Association Council, 16 mars 2021“, European Council.

¹⁰⁸ „ნათელაშვილმა დანიელსონის მედიაციით მიმდინარე შეხვედრა პროტესტის ნიშნად დატოვა“, *საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“*, 2021 წლის 17 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2R3dJKM>, განახლებულია: 26.04.2021.

¹⁰⁹ იქვე.

¹¹⁰ „ევროკავშირის მედიაცია: მმართველ გუნდსა და ოპოზიციას შორის შეხვედრა შედგა“, *საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“*, 2021 წლის 17 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/406794>, განახლებულია: 26.04.2021.

¹¹¹ „კრისტიან დანიელსონი - ვაგრძელებთ მუშაობას, ვფიქრობ, ძალიან კარგად მიდის“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 17 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3vnHy7z>, განახლებულია: 26.04.2021.

¹¹² „რაუნდი N2 - გრძელდება შეთანხმების მცდელობა ევროკავშირის მედიაციით“, *საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“*, 2021 წლის 18 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2RWdD7Z>, განახლებულია: 26.04.2021.

¹¹³ „10-საათიანი მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა — შეთანხმება ისევ არ შედგა“, *საინფორმაციო პორტალი „on.ge“*, 2021 წლის 19 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2QyIk41>, განახლებულია: 26.04.2021.

¹¹⁴ „იყო მნიშვნელოვანი პროგრესი პრეზიდენტ მიშელის მიერ დატოვებული 6-პუნქტიანი გეგმის ირგვლივ ზოგიერთ პუნქტში — დანიელსონი“, *საინფორმაციო პორტალი „on.ge“*, 2021 წლის 19 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3x3pVeR>, განახლებულია: 26.04.2021.

¹¹⁵ „კრისტიან დანიელსონი - საბოლოოდ, პასუხისმგებლობა კრიზისის მოსაგვარებლად ქართულ პოლიტიკურ აქტორებს ენიჭებათ, ეს მნიშვნელოვანია ქვეყნის დემოკრატიული კონსოლიდაციისა და ევროპული მისწრაფებებისთვის“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 19 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3sWGje3>, განახლებულია: 26.04.2021.

შარლ მიშელისთვის მედიაციის პროგრესის შესახებ ანგარიშის წარსადგენად გაემგზავრა.¹¹⁶

22 მარტს ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა განაცხადა, რომ კრისტიან დანიელსონი კვლავ დაბრუნდებოდა საქართველოში მედიაციის მეორე რაუნდისთვის.¹¹⁷

მედიაციის მეორე მისიის საქართველოში ჩამოსვლამდე რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ განცხადება გაავრცელა, რომელშიც ისინი ევროკავშირის მედიაციის პროცესში მეტ გამჭვირვალობას სთხოვდნენ.¹¹⁸

ევროკავშირის მედიაციის მეორე მისია

22 მარტს ბრიუსელში გაიმართა ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა საბჭოს სხდომა ბლოკში შემავალი ყველა წევრი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების მონაწილეობით.¹¹⁹ სწორედ ამ სხდომის შემდეგ გადაწყდა საქართველოში კრისტიან დანიელსონის დაბრუნება,¹²⁰ რომელიც ქვეყანაში 27 მარტს ჩამოვიდა და აქ 3 დღე დაჰყო.¹²¹ ვიზიტის ფარგლებში ის კვლავ შეხვდა პრემიერ-მინისტრს და საქართველოს პრეზიდენტს, ხოლო შემდგომ - უმრავლესობის და ოპოზიციის წარმომადგენლებს.¹²² კრისტიან დანიელსონმა ევროკავშირის ელჩ კარლ ჰარცელთან ერთად ვიდეოკონფერენცია გამართა ევროპარლამენტის წევრებთან.¹²³ ევროკავშირის მედიატორმა მედიაციის პროცესის განახლებამდე მოსამზადებელი შეხვედრები გამართა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთანაც.¹²⁴ შეხვედრის შემდგომ ბრიფინგზე დანიელსონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კრიზისიდან გამოსვლის პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ პოლიტიკურ პარტიებს და არა - ევროკავშირს, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, მტკიცედ გამოხატავდა საქართველოს დახმარების მზაობას.¹²⁵

შეხვედრის წინა დღეს საიამ, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად, მოლაპარაკების მხარეებს ღია წერილით მიმართა, მოუწოდა კონსტრუქციული დიალოგისკენ და საკუთარი წინადადებები წარუდგინა რეფორმებისა და კრიზისიდან გამოსვლის გზების თაობაზე.¹²⁶ მიმართვაში ნახსენებია შემდეგი საკითხები:

1. საპარლამენტო და თვითმართველობის არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარება;

¹¹⁶ იქვე.

¹¹⁷ Charles Michel, Twitter post, 22 March 2021, 8:47 PM, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3tXJoeX>, განახლებულია: 26.04.2021.

¹¹⁸ „არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება ევროკავშირის მედიაციის პროცესთან დაკავშირებით“, „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 25 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2QYEHTG>, განახლებულია: 27.04.2021.

¹¹⁹ „უოზეფ ბორელი: ყველა ლიდერმა პირველ ადგილზე ქართველი ხალხის ინტერესი უნდა დააყენოს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2021 წლის 22 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31164112.html>, განახლებულია: 26.04.2021.

¹²⁰ იქვე.

¹²¹ „კრისტიან დანიელსონი საქართველოში დაბრუნდა“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეტი“, 2021 წლის 28 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/530188/>, განახლებულია: 26.04.2021.

¹²² „კრისტიან დანიელსონი საქართველოს პრეზიდენტს შეხვდა“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2021 წლის 29 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2QxH9k4>, განახლებულია: 26.04.2021.

¹²³ „კრისტიან დანიელსონმა და კარლ ჰარცელმა ევროპარლამენტის წევრებთან ვიდეოკონფერენცია გამართეს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 28 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3aHFbok>, განახლებულია: 26.04.2021.

¹²⁴ შეხვედრას ესწრებოდნენ: საია, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“, „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ და ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, იხ. „მედიაციის განახლებამდე დანიელსონმა მოსამზადებელი შეხვედრები გამართა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 29 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/409129>, განახლებულია: 26.04.2021.

¹²⁵ „მედიაციის განახლებამდე დანიელსონმა მოსამზადებელი შეხვედრები გამართა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 29 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/409129>, განახლებულია: 26.04.2021.

¹²⁶ „მიმართვა მედიაციის პროცესში ჩართულ პოლიტიკოსებს“, საიას ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 27 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3aFVUrS>, განახლებულია: 26.04.2021.

2. მოსამართლეთა დანიშვნის წესთან დაკავშირებული რეფორმები. კერძოდ, პირველი და მეორე ინსტანციის მოსამართლეთა დანიშვნის, ასევე უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა პარლამენტში წარდგენის შესახებ გადაწყვეტილებისთვის იუსტიციის უმაღლესი საბჭოში საჭირო უნდა იყოს ე.წ. ორმაგი 2/3; თავის მხრივ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრები პარლამენტში ხელისუფლებისა და ოპოზიციის მხარდაჭერით უნდა დაინიშნონ (ე.წ. ბილატერალური მხარდაჭერა);
3. ბილატერალური მხარდაჭერითვე ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრების, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების, გენერალური აუდიტორის და გენერალური პროკურორის დანიშვნა;
4. ოპოზიციისთვის პრინციპული მნიშვნელობის მქონე სისხლისსამართლებრივი საქმეების ფიგურანტი პირების სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან გათავისუფლება და მათი საქმეების დროებით შეჩერება. ამ საქმეებზე საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს რეფორმირებულმა მართლმსაჯულების სისტემამ;
5. პარლამენტში მნიშვნელოვანი თანამდებობების უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის პროპორციულად განაწილება;
6. ოპოზიციის მიერ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მოპოვებული მანდატების ათვისება.¹²⁷

მედიაციის მეორე რაუნდი პოლიტიკურ პარტიებს შორის 30 მარტს გაიმართა, თუმცა ის კვლავ უშედეგოდ დასრულდა.¹²⁸ როგორც კრისტიან დანიელსონმა შეხვედრის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე აღნიშნა, არცერთმა პოლიტიკურმა პარტიამ მისი წინადადებები ბოლომდე არ მიიღო, შესაბამისად, კომპრომისსაც ვერ მიაღწიეს.¹²⁹ შეხვედრის შემდგომ ევროკავშირმა მხარეებისთვის ხელმოსაწერად შეთავაზებული დოკუმენტი გამოაქვეყნა.¹³⁰

ევროკავშირის დოკუმენტი ხელმოწერის შემთხვევაში ოპოზიციას პარლამენტში შესვლისა და საპარლამენტო საქმიანობაში სრულად მონაწილეობის ვალდებულებას აკისრებდა.¹³¹ მასში მოცემული იყო ხუთი საკითხი, კერძოდ:

1. პოლიტიკულ მართლმსაჯულებად აღქმულ საკითხებზე რეაგირება

პოლიტიკულ მართლმსაჯულებად აღქმულ ორ საკითხზე ამ შეთანხმების ხელმოწერიდან ერთი კვირის განმავლობაში პარლამენტში წარმოდგენილ პარტიას უნდა შეეთავაზებინა კანონპროექტი ამნისტიის შესახებ, რომელიც 2019 წლის 19-21 ივნისის პროტესტებთან დაკავშირებულ ყველა დარღვევასა და დაკავებას შეეხებოდა. გარდა ამისა, უნდა შესულიყო შესაბამისი ცვლილებები რეგლამენტში, რათა პარლამენტის წევრის სადეპუტატო იმუნიტეტის მოსახსნელად საჭირო ყოფილიყო აბსოლუტურ უმრავლესობაზე მეტი ხმა.

2. ამბიციური საარჩევნო რეფორმა

მომავალი საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარებულიყო სრულად პროპორციული წესით. შემდეგი ორი საპარლამენტო არჩევნებისთვის ბარიერი განისაზღვრა ბუნებრივიდან 2%-მდე. გარდა ამისა, პარლამენტის არანაკლებ 4 წევრისგან შემდგარ ჯგუფს უნდა შესძლებოდა საპარლამენტო

¹²⁷ იქვე.

¹²⁸ „შეთანხმება არ შედგა - დანიელსონის თქმით, არცერთმა პარტიამ არ მიიღო წინადადება“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2021 წლის 30 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31178799.html>, განახლებულია: 26.04.2021.

¹²⁹ იქვე.

¹³⁰ „ევროკავშირის მედიატორი კრისტიან დანიელსონი აქვეყნებს წინადადებას, რომელიც მან დღეს საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს შესთავაზა“, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 30 მარტი, ხელმისაწვდომია: https://eeas.europa.eu/delegations/georgia/96001/node/96001_ka, განახლებულია: 26.04.2021.

¹³¹ „სამომავლო გზა საქართველოსთვის“, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 30 მარტი, გვ. 1, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3dUmVKp>, განახლებულია: 26.04.2021.

ფრაქციის შექმნა, რომელშიც ჩართვის უფლება ექნებოდათ სხვა პარტიების დეპუტატებსაც. 2 მარტს პარლამენტში წარდგენილი საარჩევნო კანონპროექტისთვის პარტიებს მხარი უნდა დაეჭირათ დოკუმენტში მოცემული გარკვეული ცვლილებების გათვალისწინებით.¹³² ამასთან, უნდა გადახედულიყო საკანონმდებლო ცვლილებები პარტიების რეგისტრაციისა და დაფინანსების შესახებ ვენეციის კომისიის და ეუთო/ოდირის 2021 წლის 20 მარტის ერთობლივი დასკვნის შესაბამისად.¹³³

3. კანონის უზენაესობა/სასამართლო რეფორმა

სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად უნდა გაზრდილიყო გამჭვირვალობა და დამსახურებაზე დაფუძნებული შერჩევა პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებში მოსამართლეების დანიშვნისას. უნდა შეჩერებულიყო უზენაეს სასამართლოში ყველა მიმდინარე დანიშვნა და ხელახლა დანყებულიყო განცხადებების მიღება ახალ კანდიდატებთან დაკავშირებით მას შემდეგ, რაც ახალი კანონი შევიდოდა ძალაში. უნდა მომხდარიყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სიღრმისეული რეფორმა, რათა გაზრდილიყო გამჭვირვალობა, კეთილსინდისიერება და ანგარიშვალდებულება. გენერალური პროკურორების დანიშვნისთვის საჭირო უნდა ყოფილიყო პარლამენტის წევრთა კვალიფიციური უმრავლესობის ხმები. ბოლოს, პარტიები იღებდნენ ვალდებულებას, განეგრძოთ სასამართლო რეფორმა ინკლუზიური პროცესის საშუალებით, სასამართლო რეფორმის მესამე და მეოთხე ტალღის ეფექტიანობის შეფასების ჩათვლით.¹³⁴

4. პარლამენტში ძალაუფლების განაწილება

პარლამენტის წევრები ოპოზიციური პარტიებიდან უხელმძღვანელებდნენ ხუთ კომიტეტს, საიდანაც ორი აირჩეოდა დოკუმენტში მოცემული სიიდან. გარდა ამისა, პარლამენტის წევრები ოპოზიციური პარტიებიდან დაიკავებდნენ თავმჯდომარის 1 პოზიციას იმ საპარლამენტო დელეგაციებში, რომლებიც საქართველოს წარმოადგენენ საერთაშორისო ფორუმებში. სამომავლოდ, სხვა პოზიციები განაწილდებოდა ისეთი ინკლუზიური ფორმულის გამოყენებით, როგორცაა D'Hondt მეთოდი და პარტიები იზრუნებდნენ „ჟან მონეს დიალოგის“ ფორმატის შექმნაზე ევროპარლამენტთან.¹³⁵

5. მომავალი არჩევნები

პარტიებს მხედველობაში უნდა მიეღოთ ეუთო/ოდირის შეფასება, რომლის მიხედვით, 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები კონკურენტულ გარემოში და, ზოგადად, ძირითადი თავისუფლებების დაცვით ჩატარდა. თუმცა, საზოგადოების საარჩევნო პროცესისადმი ნდობას ამცირებდა ამომრჩევლებზე ზენოლის შესახებ ფართოდ გავრცელებული ბრალდებები და მმართველ პარტიასა და სახელმწიფოს შორის საზღვრის ბუნდოვანება. შესაბამისად, მხარეები აღიარებდნენ, რომ ისინი სხვადასხვაგვარად აფასებდნენ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს. დოკუმენტის მიხედვით, ხელისუფლებას 2021 წლის ადგილობრივი არჩევნებისთვის უნდა მოეთხოვა საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის ჩამოსვლა.¹³⁶

მომხდართან დაკავშირებით იმედგაცრუება გამოხატა ლიეტუვის საგარეო საქმეთა მინისტრმა, გაბრიელიუს ლანდსბერგისმა.¹³⁷ მისი თქმით, მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის შეთანხმების მიუღწევლობა მეგობრებსა და პარტნიორებს ცუდ სიგნალს უგზავნიდა.¹³⁸

¹³² იქვე, გვ. 3.

¹³³ იქვე.

¹³⁴ იქვე, გვ. 5-6.

¹³⁵ იქვე, გვ. 7.

¹³⁶ იქვე, გვ. 8.

¹³⁷ „ლიეტუვის საგარეო საქმეთა მინისტრი - აღელვებული და იმედგაცრუებული ვარ იმით, რომ „ქართულმა ოცნებამ“ და ოპოზიციამ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 31 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3dVb1Qh>, განახლებულია: 26.04.2021

¹³⁸ იქვე.

კრისტიან დანიელსონმა საქართველო 31 მარტს დატოვა.¹³⁹ ის ბრიუსელში დაბრუნდა ევროპული საბჭოს პრეზიდენტისთვის საქართველოში განვითარებული მოვლენების შესახებ ანგარიშის წარსადგენად, რის შემდეგაც ევროკავშირს შემდგომი ნაბიჯები უნდა განესაზღვრა.¹⁴⁰

მოსმენა საქართველოს პოლიტიკურ კრიზისზე აშშ-ის სენატში

23 მარტს აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ევროპის და რეგიონული უსაფრთხოების ქვეკომიტეტში გაიმართა მოსმენა „დემოკრატიის განმტკიცება საქართველოში“, რომელსაც ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, დემოკრატი სენატორი ჯინ შაჰინი უძღვებოდა.¹⁴¹ მომხსენებლების სახით მინვეულნი იყვნენ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილე ჯორჯ კენტი და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების საკითხებში კარა მაკდონალდი.¹⁴² მონაწილეებმა იმსჯელეს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა პოლიტიკური კრიზისი, მართლმსაჯულების და საარჩევნო რეფორმა, ასევე განიხილეს საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებები.¹⁴³ სენატორმა ჯიმ რიშიმა პოლიტიკურ პარტიებს ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობის გააზრებისა და უთანხმოების დაძლევისკენ მოუწოდა. მან ასევე აღნიშნა, რომ „ქართული ოცნებას“ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ჰქონდა ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანაში.¹⁴⁴ კარა მაკდონალდმა და ქვეკომიტეტის წევრმა, რესპუბლიკელმა რონ ჯონსონმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ კონფლიქტის მოგვარება სრულად დამოკიდებული იყო კრიზისის მხარეების სურვილზე და არა - საერთაშორისო პარტნიორებზე.¹⁴⁵ სენატის ქვეკომიტეტის მოსმენაზე სენატორ რონ ჯონსონის ინიციატივით, რომელსაც სენატორი ჯინ შაჰინიც დაეთანხმა, გადაწყდა საქართველოს შესახებ რეზოლუციის მიღება, რომელიც გაამყარებდა სენატის მხარდაჭერას საქართველოსადმი.¹⁴⁶

¹³⁹ „კრისტიან დანიელსონმა საქართველო დატოვა“, საინფორმაციო პორტალი „mtavari.tv“, 2021 წლის 31 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://mtavari.tv/news/38012-kristian-danielsonma-sakartvelo-datova>, განახლებულია: 26.04.2021.

¹⁴⁰ იქვე.

¹⁴¹ „Senators Shaheen & Johnson Reaffirm Bipartisan Commitment in Congress in Support of Georgia's Democracy“, U.S. Embassy in Georgia, Official web-page, 24 March 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/32OOfmL>, განახლებულია: 26.04.2021.

¹⁴² Subcommittee Hearing Bolstering Democracy in Georgia, U.S. Senate Committee on Foreign Relations, 23 March 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3sXsHz7>, განახლებულია: 26.04.2021.

¹⁴³ იქვე.

¹⁴⁴ „ჯიმ რიში - პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა გაიაზრონ მათი მოვალეობა ქვეყნის წინაშე და დაძლიონ უთანხმოება - „ქართული ოცნება“ ატარებს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას, რათა გამოიყვანოს საქართველო კრიზისიდან“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 24 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/32Tg7GG>, განახლებულია: 26.04.2021.

¹⁴⁵ Subcommittee Hearing Bolstering Democracy in Georgia, U.S. Senate Committee on Foreign Relations.

¹⁴⁶ „Senators Shaheen & Johnson Reaffirm Bipartisan Commitment in Congress in Support of Georgia's Democracy“, U.S. Embassy in Georgia, Official web-page.